

# მწყმისი



მე ვარ მწყმისი კეთილი: მწყმისან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.  
შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოველით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 20

1883—1899


30 ოქტომბერი

როგორი სახურავი უნდა გაუკეთდეს მცხეთის  
საპატრიარქო ტაძარს?



მოდევებში ამ სათაურით გამოვიდა ერთი პატარა წიგნაკი, რომლის შინაარსი გამოკრებილია „მცხეთის საპატრიარქო ტაძრის განახლების კომიტეტის სხდომების ყურნალებისაგან“. ამ წიგნაკის შინაარსისაგან ჩანს, რომ ამ კითხვის შესახებ ხსენებული კომიტეტის წევრნი ორ ნაწილად გაყოფილან: ერთ ნაწილს კომიტეტის წევრებისას სურს მცხეთის ტაძარი დაიხუროს რკინით და წინააღმდეგია ქვის სახურავისა, ხოლო მეორე ნაწილი მომხრეა ქვის

სახურავისა. რკინის სახურავის მომხრენი აი რაზე აფუძნებენ თავიანთ მოსაზრებას: უწინდელს დროში სახურავად ხმარობდნენ უმთავრესად ქვას და კრამიტს, ვინაიდან იმ დროში ლითონი (მეტალი) ხმარებაში არ იყო. საზოგადოდ და კერძოდ მცხეთის ტაძრის ქვის სახურავის ნაკლუვანება იმაში მდგომარეობს, რომ ქვა, სიმძიმის გარდა, არც ისე საიმედოა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ტაძრის სახურავში მას სისველე და წყალი არ ჩაეპაროს. (წვერი და მდივანი კომიტეტისა ა. ნატროშვილი). ქვის სახურავს ერთი კიდევ იმიტომ უარსაყოფენ, რომ დღეს, ჩვენში, თითქმის, არ იშოვება ისეთი მკოდნე, რომ ქვის ფილაქები ისე დააკავშიროს ცემენტით, რომ შიგ წყალი არ ჩაეპაროს (კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ყ-დ სამღვდელო ლეონიდი). უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველმა ქართველებმა იცოდნენ შენება და ძლიერ კარგადაც





აშენებდნენ. ქრისტიანეთა დიდი ნაშთები, რომელთაც ჩვენ დრომდე მოახწიეს და რომელთა რიცხვსაც ეკუთვნის მცხეთის ტაძარიც, თვალსაჩინოდ მოწმობენ, თუ რამდენად განვითარებული, მდიდარი და შეძლებული იყო საქართველო ძველად. არ შეიძლება ვუსაყვედუროთ ძველ ქართველებს იმისათვის, რომ იგინი სახურავისათვის ხმარობდნენ ასეთ მძიმე და, ჩვენის აზრით, უვარგის მასალას, როგორც არის ქვა...

ჩვენმა ტაძრებმა დღიდგან მათა აშენებისა ბევრი უბედურება აიტანეს, როგორც მიწის ძვრისა, ცეცხლისა, წყალდიდობისა და მოსლემანთაგან, რომელნიც დაუძინებელნი მტერნი იყვნენ და არიან ეკკლესიისა და ქრისტეს სარწმუნოებისა... ვინაიღვან შემდეგ დანგრევისა და აოხრებისა ჩვენი ტაძრების გარეგანი სახე კედლებისა ხელახლად განახლდებოდა ხოლმე, ხოლო საშუალო კედლებს, განახლების დროს, მცირე ყურადღებას აქცევდნენ, ამიტომ დღეს დიდი სიმძიმე აწევს მცხეთის ტაძარს და ეს სიმძიმე გვაიძულებს, რომ ტაძარი გავანთავისუფლოთ ამ სიმძიმისაგან, თორემ შეიძლება ტაძრის კედლებმა სიძველისა გამო ვერ გაუძლონ ამ სიმძიმეს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ტაძარს გამოვუცვალოთ ქვის სახურავი, რომლის თითოეული ფიქალი რვა ფუტზე მეტს იწონს და ამ ქვის მაგიერ გაუკეთოთ რკინის სახურავი. აუცილებლად საჭიროა ასე მოვუქცეთ, რომ ამით კიდევ შეიცვალოს სახე ტაძრისა (ხუროთ მოძღვარი მ. სალამბეკოვი). უსათუოდ უნდა გამოვუცვალოთ ტაძარს ქვის სახურავი, თუ გვინდა, რომ ამ ქრისტიანობის უძველესმა ნაშთმა კიდევ დიდხანს გასტანოს. სპილენძის სახურავი უფრო გამძლე და მხატვა... ქვა ძლიერ ნაკლები მასალაა სახურავისათვის... ერთი რომ სპილენძის სახურავი უფრო გამძლეა და მასთან ქვის სახურავთან შედარებით, არც ასე ძვირად დაჯდება... რასაკვირველია უკეთესი იქნება, თუ მარმარილოთი გადავხურავთ, მაგრამ მარმარილოს ნამდვილი ფერის შეუშლელად დაცვა შეუძლებელია... (ეპარქიის ხუროთ-მოძღვარი ლ. ბილფელი“).

თითქმის ამავე აზრის ბრძანდებიან ყოვლად სამღვდელო კირიონი, დეკანოზი მანსვეტოვი და მცოდნე ქვის მოხელე ანდრეოლეტი.

ხსენებულ მოსაზრებათა წინააღმდეგ წარმოთქ-

მულა მრავალი აზრი, რომელნიც აგრეთვე მხედველობაში მისაღებნი არიან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მცხეთის ტაძარი არის უძველესი სარწმუნოებრივ-არქეოლოგიური და ისტორიული ნაშთი. ტაძრის სახურავის გამოცვლის დროს სახეში უნდა გვქონდეს არა მარტო სახურავის სიმტკიცე, არამედ ამასთან ერთად უნდა ვეცადოთ, რომ შეუშლელად დარჩეს არა მარტო ტაძრის ძველი სახე, არამედ სახურავიც კი (ი. წინამძღვარი შვილი). იმ აზრის გასამტყუნებლად, თითქო ქვის ფიქალებს არ შეუძლია ტაძრის დაფარვა სისველისა და წვიმისაგან, თუმცა ხსენებული ტაძარი აგერ 15 საუკუნე არსებობს და სახურავიდან მასში წყალი არ ჩამოსულა, დაუსახელებიათ ახპატის მონასტერი (ბორჩალოს მ.ზარაშია), რომელიც დახურულია ქვით და აშენებულია 961 წელს, და აგრეთვე ატენის სიონის ტაძარი, რომელიც აგრეთვე დახურულია ქვის ფიქალებით და აშენებულია მეთხუთმეტე საუკუნეში (თ-დი დ. ბარათოვი).

ამავე აზრის მომხრე ბრძანებულა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. გ. ქართველი შვილს ურჩევია კრებისათვის, რომ ამ კითხვის გადაწყვეტას ნუ აუჩქარდებითო, საჭიროა, რომ საქმის მცოდნე პირებმა თავიანთი აზრი გამოთქვანო.

კომიტეტი იმ აზრს დადგომია, რომ ტაძარი გადახუროს სპილენძით, მაგრამ მას საჭიროდ დაუნახავს, რომ ჯერ შეეკიოხოს ამ საგნის შესახებ ხუროთ მოძღვრებს, რომელთა აზრიც დაახლოებით მოხსენებულია წიგნაკში, საიდანაც მოგვყავს ამ ხუროთ-მოძღვართა და სხვა მცოდნე პირთა ზოგიერთი მოსაზრებანი:

1) ტაძრის განახლების კომიტეტის ყველა წევრთა სამართლიანის აზრის თანახმად, აუცილებლად საჭიროა, რომ ტაძრის განახლების დროს უსათუოდ დაცულ იქნას განსაკუთრებული სახე ტაძრისა, რომლითაც განსხვავდებიან ძველი ქართული შენობები. ამიტომ კომიტეტს სურს აირჩიოს სახურავად ის მასალა, რომლითაც უმეტესად დახურულია ჩვენი ძველი ტაძრების სახურავები, და სახელდობ სახეში აქვს ქვა, ვინაიღვან ტაძრის კედლები და თალები იმდენად მედგარნი არიან, რომ ადვილად გაუძლებენ ქვის სახურავის სიმძიმეს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ქვის ფიქალები ისე დააკავშიროს კაცმა

ერთმანეთ შორის, რომ სახურავს წყალი არ ჩაება-როს. სახურავი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც ძველ დროში აკეთებდნენ, და სახელდობრ: სახურავის კეთება უნდა მოხდეს ნელა და აუჩქარებლად და არაფერ შემთხვევაში არ უნდა გაიცეს იჯარით. მუშაობა უნდა მიცეს თავის კეთილ სინდისიერი მუშაობით გამოჩენილ მოხელეთ, რომელთაც უნდა ეძლეოდესთ დღიური ქირა და ცემენტის ბლომად უნდა ექნესთ. ქვა უნდა გამოირჩეს მაგარი, რომელიც არ ისვამდეს წყალს (ხუროთ-მოძღვარი სიდმესონი).

2) ყველაზე უფრო გონივრული და გამძლე სახურავად უნდა ჩაითვალოს ქვის ფიქალები, რომელიც უნდა გაკეთდეს ცემენტით და ცემენტივე უნდა კარგად დაკავშირდეს ფიქალების ნაპირები. სპილენძის სახურავიც მედგარია, მაგრამ ხსენებული ტაძრისთვის ეს მასალა გამოუღებარია, ერთი იმიტომ, რომ იგი არ უდგება ამ არქეოლოგიური ნაშთის გარეგან სახეს, მეორეთ საჭირო შეიქნება ძვირფასი გადასაკიდლების გაკეთება და ამ გადასაკიდლების დაწყობაც ძლიერ გასაჭირი იქნება და არც საიმედოა. გარდა ამისა საჭირო იქნება, რომ სპილენძის ქვეშ გვერდი მოიკალოს, უამისოდ სპილენძი, როგორც ვიცით, სინოტიეს უშვებს (გუბერნიის ინჟინერი უ. ბუტკევიჩი). დანარჩენმა ორმა ხუროთ-მოძღვარმა და 3—4 საქმის მკოდნეთ (ტატიშჩევა და შიმკევიჩმა), რომელთაც შეეკითხენ ამ საგნის შესახებ, ის აზრი გამოთქვას, რომ საუკეთესოა ტაძარი სპილენძის ფურცლებით დაიხუროსო და გაუკეთდეს რკინის გადასაკიდლები, და სპილენძის ფურცლებს უნდა ექნესთ დღეს ხმარებული კრამიტის სახეო.

დასასრულ თავმჯდომარეს, ყოველად სამღვდლო ლეონიდეს განუცხადებია, რომ საჭიროა ამ კითხვის საჩქაროდ გადაწყვეტა, რომ კომიტეტი დაუყონებლივ შეუდგეს ტაძრის განახლებას, ვინაიდან ამ საქმის დაყოვნება ძლიერ საზარალო იქნება ტაძრისათვისო.

ვინაიდან სხვა და სხვა აზრები იქნა გამოთქმული, კომიტეტს დაუდგენია: დაიბეჭდოს კომიტეტის კრებათა ყურნალი ტაძრის სახურავის შესახებ, შემდეგ ეს დაბეჭდილი ყურნალი გაიგზავნოს მოსკოვის და არქეოლოგიურ საზოგადოებაში, აგრეთვე ეს ყურნალი გაიგზავნოს პროფესორებს: კონდაკოვს და არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს უ. პოკროვსკის და ეთხოვოს მათ, თავიანთი აზრი გამოთქვან აღნიშნული კითხვის შესახებ. ამიტომ დროებით შეჩერდეს ტაძრის განახლების საქმეო.

სამწუხაროდ ამ წიგნაკისაგან კაცი ვერ ტყობილობს, თუ დღეს რა მდგომარეობაშია მცხეთის ტაძრის სახურავი, მთელი სახურავია გაფუჭებული, თუ ზოგიერთი მისი ნაწილი? მთელს სახურავში ჩამოდის წყალი, თუ ალაგ-ალაგ და ისიც ფიქალებს შორის? ჩვენის აზრით ამ საგანს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამის გაგება და გადაწყვეტა შეუძლიათ მხოლოდ მათ, რომელთაც იციან ქვის ფიქალებით სახურავის კეთება, ესე იგი იმ პირთ, რომელთაც ეს ხელობა მარტო ტეორეტიულად კი არ აქვსთ შესწავლილი, არამედ პრაქტიკულად. ამ საგნის ჯეროვანად შეტყობა სინამდვილით არც ჩვენი დროის ხუროთ-მოძღვრებს შეუძლიათ, თუმცა მათ შეიძლება თავიანთი ხელობა ზედმიწევნით იცოდნენ, მაგრამ მათ საკმაოდ გამოცდილება არა აქვთ ქვის ფიქალებით სახურავების კეთების საქმეში, რომელიც ჩვენში უხსოვარის დროიდან არის შემოღებული.

ჩვენის მხრითაც საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ რამდენიმე სიტყვა ხსენებული ტაძრის განახლების შესახებ. პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ კომიტეტს სწორედ სასურველად დაუყენებია საქმე, ე. ი. კომიტეტს სურს ჯერ შეიტყოს ხუროთ-მოძღვართა და მკოდნე პირთა აზრი და შემდეგ შეუდგეს ტაძრის განახლებას. სწორეთ ამ გზით შეუძლია კომიტეტს აღნიშნული საქმის რიგიანად დაგვირგვინება. მაგრამ ჩვენ საკმაოდ არ მიგვაჩნია ასე



ცოტა მცოდნე პირთა აზრი, შით უმეტეს, რომ ყველა ამ პირთ ერთგვარად არ შეუძლიანთ დაათვა-სონ ჩვენი მხარის ისტორიული და ეტნოგრაფიული განსაკუთრებითი მხარეები, რომელნიც ყველა მცოდნეთათვის მისაწოდამი არ არის. ჩვენ უარს არა ვყოფთ უკანასკნელთ და დარწმუნებული ვართ, რომ მათ თავიანთი საქმე ჯეროვანად იციან, მაგრამ არც ის შეგვიძლია დაეფაროთ, რომ ხსენებულმა პირებმა ჯეროვანად იცოდნენ ქართული ხელოვნება და აგრეთვე არქეოლოგია და ისტორია, თუ ამ აღნიშნული საგნების შესახებ ვინმეს დიდი ხნობით შესაფერად არ უმეცადინია. სრულებით სახეში მისაღები არ არის ის მოსაზრება, თუმცა იგი წარმოთქმულია მცოდნე კალატოზისაგან, რომელიც წინააღმდეგია ქვის სახურავისა და თავის აზრის დასამტკიცებლად ასახელებს დაბა აბასთუმნის ტაძარს, რომელიც დახურულია ქვით და რომელშიაც ჩადის წყალი. ასეთი მოსაზრება ამტკიცებს მხოლოდ მოხელეთა უცოდინარობას, ვინაიდან ჩვენში დღესაც ბევრია ძველი ნაშთები, ქვის ფიქალებით დახურულნი, რომელ შენობებში არავითარი წყალი არ ჩადის, თუმცა ეს ნაშთები უხსოვარის დროიდან არსებობენ. ამიტომ ფრიად სასიხარულოა, რომ კომიტეტს საჭიროდ დაუნახავს მიიქცეს ნამდვილ მცოდნე პირთადმი, რომელნიც სპეციალურად და ყოველ მხრივ სწავლობენ ჩვენ ეკკლესიურ-არქეოლოგიურ ნაშთებს.

ამაგებს გარდა ურიგო არ იქნებოდა შევკითხოდით უცხოელ მცოდნე პირთაც, გავვეგებინებია მათთვისაც საქმის გარემოება, რომ უკეთესად დაგვეცვა ტაძრის ძველებური სახე, რომელიც შეადგენს ჩვენი ტაძრების კუთვნილებას.

უკანასკნელი გარემოება აუცილებლად საჭიროა ამ ტაძრის განახლების საქმისათვის; ეს გარემოება ერთი უპირველესთაგანია. არ შეიძლება უყურადღებოდ დავსტოვოთ საგნის ისტორიული და არქეოლოგიური მხარე ზოგიერთი სიადვილისათვის, რომელიც ტექნიკურის მხრით შესაძლებელია ამ მეცხრამეტე საუკუნეში, მაგრამ რომელიც სრულებით არ ეთანხმება ისტორიულ წარსულს. ამიტომ


ადვილად შესაძლებელია, რომ დღეინდღემა ხელოვნებამ ბევრი რამ ძველი შესცვალოს და გადაასხვაფეროს.

შეიძლება ყოველგვარი მასალა უფრო საადგილო შეიქნეს ქვაზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ხსენებული ტაძრის დახურვა სხვა რაიმე სახურავით, ყველას რაღაც საჩოთაროდ დაურჩება, განსაკუთრებით, ვისაც თვალი შეუჩვევია ხსენებული ტაძრის ქვის კედლების გარმონიული შენობისათვის, რომელსაც ამშვენებს ქვისვე გუმბათი.

დასასრულ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ გარდა აღნიშნულ მცოდნე პირთა, კომიტეტი შეეკითხება მცოდნე პირთა აგრეთვე ევროპაშიაც, სადაც ბევრი საყურადღებო ძეგლებია, რომელნიც ცხადათ ამტკიცებენ, თუ რა ზომამდე გამშვენებულია იქ ეკკლესიურ შენობათა ხელოვნება და მხოლოდ ყოველგვარ ცნობათა და შენიშვნების შეკრების შემდეგ კომიტეტი საბოლოოდ გადაწყვეტს საქმეს, რასაკვირველია იმ გვარად, რომ ძველი სახე ტაძრისა დაცულ იქმნას. ეს უკანასკნელი მოვალეობა დამოკიდებულია იმ პირებზე, რომელნიც ამ საქმეს ხელს მოკიდებენ, ისინი ვალდებული არიან გაამართლონ საზოგადოების იმედები, და სახელოდ შემდეგ დგმათ გადასცენ შეუცვლელად და ხელშეუხებლად, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მისაღწევი იქნება, ეს ღირსშესანიშნავი ნაშთი, რომელმაც მრავალ ბარბაროსთა აზრებას გაუძლო.

ამაგებს გარდა ურიგო არ იქნება მივმართოთ ამ საქმის მცოდნეთ სათათრეთში და საბერძნეთში, სადაც, როგორც ამბობენ, მრავალ შენობებს შეხედება კაცი ქვის სახურავით დახურულს. ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა მოვძებნოთ ამ საქმის მოხელენი, და, ჩვენის აზრით, საქმე, რომელიც ასე საძნელოდ მიგვაჩნია, შეიძლება გაკეთდეს უფრო მკვიდრად, ადვილად და იაფადაც.

დკკ. დ. დამაშვიძე.





ქრისტიანული წესით დაძარცვა გარდაცვალებულის მარიამ ქოჩოჩაშვილის ასულისა დაბა ვეირილაში (მორაპნის მასრა).



ექტემბრის თვეში, ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ერთი მკვრივი ქალი მარიამ ქოჩოჩაშვილის ასული. გარდაცვალების შემდეგ განსვენებული შესამე დღეზე გაასვენეს ნათესავებმა ყვირილის ეკკლესიაზედ. განსვენების წესი და წირვა შესრულა

ადგილობრივი ტაძრის წინამძღვარმა დეკ. დავით ლაბაშიძემ სხვა მღვდლების თანამსახურებით. წესის აგების შემდეგ მამა დეკ. დავით ლაბაშიძემ წარმოასტკვა შემდეგი სიტყვა:

„ძმანო ქრისტიანენო! საზოგადოდ მიღებულია ყველგან, რომ კუბოს წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოთვალონ ყოველივე ის, რითაც გარდაცვლებული შესანიშნავი იყო. მოჰყვებიან გარდაცვლებულის გულკეთილობას, ქველის საქმეთა და მოქმედებათა აწერას. ერთი სიტყვით აღარაფერს არ დატოვებენ, რომ როგორიმე გზით ქება-დიდება შესახან განსვენებულს და მსმენელნი გააკვირონ გარდაცვალებულის ცხოვრებით და საქციელით. მაგრამ ჩვენგან ამეებს ნურავინ მოეღოს. გარდაცვალებული სრულებით არ ყოფილა ამ მხრით შესანიშნავი და ჩვენც არა გვაქვს რა ისეთი სათქმელი გარდაცვალებულის შესახებ, რომ ვინმე გავაკვიროთ ჩვენ წინაშე მდებარე გარდაცვალებულის საქციელით და მოქმედებით. გარდაცვალებული იყო ერთი საწყალი ღარიბი ქალი, რომელსაც ზოგიერთი კეთილი ოჯახები და მისი ნათესავები არჩენდენ.

ბევრ მდიდარ და გამოჩენილ პირთა დამარხვას დაესწრებივართ, მაგრამ ჩვენ არა გვითქვამს რა იქ, რადგან თითქმის სათქმელის მიზეზი არ მოგვცემია.

მაგრამ დღეს სულ სხვაა. იშვიათად შემხვედრია კაცის დამარხვა ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლა-დარიგებისამებრ, ქეშმარიტად იმ ქრისტიანულ წესზე, რომელი წესითაც განსვენებული მარიამ ქოჩოჩაშვილის ასული იმარხება.

კაცის ცხოვრებაში ორი შესანიშნავი დრო არის. პირველი შესანიშნავი დროა დაბადება კაცისა, გამოცხადება კაცისა ამ წუთის სოფელში. მეორე შესანიშნავი დრო არის გასვლა ამა ქვეყნიდან, ჩვენი სიცოცხლის დასრულება და საუკუნოთ ამ ქვეყნის გამოსაღმება. ეს ორი დრო კაცის სიცოცხლეში იმდენად შესანიშნავია, რომ ყოველთვის უნდა ახსოვდეს კაცს იგი და ხშირად იგონებდეს. ზოგიერთი გონიერი კაცი ფიქარზე, ქალღმრთელზე ან დაფაზე დააწერს ხოლმე: „გახსოვდეს შენი უკანასკნელი დღე“ და ისეთ ადგილას დაჰკიდებს, რომ ნიადაგ ხედავდეს და ნიადაგ სახეში ჰქონდეს თავისი უკანასკნელი დღე. ეს ჩვეულება დიდათ სასარგებლოა ყველასათვის. რამდენი კაცის აღმფოთებული გული დაუცხვრია და რამდენჯერ ასცილებია სასოება. დაკარგული კაცი ათასნაირ უბედურ და საშიშარ საქციელს, როდესაც უკანასკნელი წაში და თავისი სიკვდილის დრო მოგონებიათ. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ზოგიერთ უგნურს მისს უკანასკნელ დღეს ვერ გაუმხელით. ზოგს ჰგონია, რომ სიკვდილის მოგონება მას სიცოცხლეს მოუტწირათებს და ამიტომ ვერ გაახსენებ მას ამ დღეს...

სწორეთ იშვიათად შეგვხვედრია, რომ ისე ქრისტიანულად დავსრულებიოს კაცს თავისი სიცოცხლე და ისეთი წესიერი დამარხვა ღირსებოდეს, როგორც ეღირსა გარდაცვალებულს მხეველს ღვთისას მარიამ ქოჩოჩაშვილის ასულს. განსვენებულს ნიადაგ ახსოვდა თავის უკანასკნელი დღე და ამისთვის ის ყოველთვის მზად იყო სიკვდილს მიგებებოდა მომზადებული. განსვენებული, აღჭურვილი ქეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებით, სასოებით და ღვთის სიყვარულით, თვით ვეცდრებოდა ღმერთს, რომ შეეხატება მისი სული. განსვენებულმა დიდის

სარწმუნოებით და სასოებით მიიღო წმიდა საიდუმლო, შეიტყო უკანასკნელი საათი თავის სიცოცხლისა, დაიბარა ყველა ნათესავები და ნაცნობები და ყველას ისე გამოემშვიდობა, როგორც რომელიმე კაცი, შორეულ ადგილას გამგზავრებული, გამოემშვიდობება ხოლომე ყველა ნაცნობს. შემდეგ წყნარად, უშფოთველად, ლოცვით და ვედრებით განვიდა განსვენებული ამიერ წუთისოფლიდან.

მაგრამ უფრო შესანიშნავი და სამაგალითოა ყველასთვის ქეშმარიტი ქრისტიანული წესით განსვენება ამა გარდაცვალებულისა. ყველამ კარგად იცით, თუ რა წესით სრულდება ჩვენში დასაფლავება გარდაცვალებულთა. მე არ მჯერა, რომ კიდევ იყოს სადმე მართლ-მადიდებელი ხალხი, რომელიც იმ წესით ასრულებდეს გარდაცვალებულთა დასაფლავებას, რა წესიც სუფევს საზოგადოდ ჩვენში — დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით იმერეთის ეპარქიაში. აქ იშვიათად მოხდება, რომ ვინმე ამ წესით დაიმარხოს, რა წესითაც უჩენს გარდაცვალებულთა დამარხვას და გლოვას წმიდა მართლ-მადიდებელი ეკლესია. ვის შეუძლია იმაზედ მეტი ნუგეში მისცეს, ვის შეუძლია ისე დაამშვიდოს შეწუხებული კაცის გული მისს მოკეთეთა და ნათესავთა დაკარგვის დროს, როგორც ანუგეშებს და შეწუხებულ გულს ამშვიდებს მართლ-მადიდებელი ეკლესიის წესი კაცის დამარხვისა და ტირილისა, რომელი ზარი მიედრება იმ შვენიერ გულის დამამშვიდებელ გალობას, რომელიც სრულდება ეკლესიაში განსვენებულის წესის აგების დროს? მაგრამ ყველა ესეები, ყველა ეკლესიური წესი ჩვენ დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით იმერეთში სრულებით დავიწყებულია. საჭირო არ არის აქ სიტყვის გაგრძელება. თქვენ ყველამ კარგად იცით ის ნახევრობით კერპთაყვანისცემლური ჩვეულებანი და წესნი, რომელნიც ჩვენში სრულდება გარდაცვალებულზე. იმ დროს, როდესაც გარდაცვალებულთა ქირისუფალნი ვალში ვარ-

დებიან აუარებელი ხარჯით, იმ დროს, როცა ისეც გაჭირვებული კაცი ღიდის სარგებლით ნასესხები ფულით ხალხისათვის საქმელსა და სასმელს ყიდულობს, ან თავისას ხარჯავს 100 და 400—500 მანეთობით, გარდაცვალებულის სულისათვის ერთ გროშს არ ხარჯავს. უმეტესობა ქირისუფალთა სულ იმაზედ ფიქრობს, რომ კარგად მიიღოს მოტირალნი, კარგი მასპინძლობა გაუწიოსთ მათ, კარგი მოზარეები იშოვოს, ცხენი, გარდაცვალებულის სახლის კედლები შავით შემოსოს, მაგრამ სამწუხაროდ სრულებით არ ახსოვს და არ ფიქრობს, რომ მღვდელს აწირვინოს გარდაცვალებულის სულისათვის. როცა ყოველი ეს უწესობა, ყოველად უსარგებლო გარდაცვალებულის სულისათვის, შესრულდება, მღვდლებს მიანდობენ წესის აგების შესრულებას და ხშირად ქირისუფალნი არც კი დაესწრებიან ამ დროს. ერთი სიტყვით გარდაცვალებულთა დამარხვა სრულდება არა ისე, როგორც ამას უჩენს ეკლესიური ტიბიკონი, არამედ წინააღმდეგ ეკლესიის ტიბიკონისა...

ღარიბი იყო გარდაცვალებული მხევალი ღვთისა მარიამი, მაგრამ განსვლა ამ ქვეყნიდან მისი იყო ქეშმარიტად ქრისტიანული და ყოველი წესი მასზედა სრულდება ქეშმარიტად ქრისტიანულად და თანახმად მართლ-მადიდებელი ეკლესიის ტიბიკონისა, რომელსაც არც ერთი მდიდარი და შეძლებული ჩვენში არ ღირსებია. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მხევალო ღვთისაო, მარიამ. განგისვენოს ღმერთმან მართალთა თანა, და თქვენ, ქირისუფალნი, მოგცეს ღმერთმან ნუგეში და კეთილი ცხოვრება, ვინაიდგან უარყავით, თანახმად განსვენებულის სურვილისა, ყველა ის უწესო ჩვეულებანი და წესები, რომელნიც ღღემდის კიდევ ჩვენდა შესარცხვენად ასე მტკიცედ სრულდება გარდაცვალებულთა დამარხვისა და გამოტირების დროს.





† მღენე გურიელის ასული.

მ ოქტომბერს მთელი მახრის და ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა შეკრიბა ქ. ოზურგეთში ახალ-გაზდა მიცვალებულის ელენე გურიელის ასულის პატივსაცემად და გასასვენებლად. იშვიათად მოხდება ხოლომე, რომ ასეთ ახალგაზდა ქალიშვილის გარდაცვალებას ამდენი გულ-წრფელი საერთო მწუხარება გამოეწვიოს მთელ ადგილობრივ საზოგადოებაში. ამ გარემოების მიზეზი ის არის, რომ განსვენებული ელენე გურიელის ასული კეთილი, პატიოსანი და კარგი ხასიათის ადამიანი იყო. ამიტომაც საზოგადოება და მით უმეტეს ყველა მისი ნაცნობნი ბევრ სიკეთეს მოელოდნენ მისგან, მაგრამ უწყალო და უსამართლო ბედმა არ დააცალა თავისის გულის წადილის შესრულება. გულ საკლავი იყო ის სურათი, როდესაც სახლიდან გამოსვენებულ, მრავალ გვირგვინებითა და ყვავილებით მოკაზმულ კუბოს, კიბესთან ეზოში დახვდა ახალ-გაზდა მეგობრები, ქალიშვილები და განსვენებულის სამზრუნველო სამრევლო საქალებო სკოლის მოწაფენი გვირგვინებითა და ყვავილებით. აქვე პირველად შესაფერი სიტყვები უთხრა განსვენებულს ახალ-გაზდა ქალიშვილების მაგიერ ეკატერინე ბერეჟიანის ასულმა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სამრევლო საქალაქო სკოლის მოწაფეთა მაგიერ ქალაქის მოურავმა თ. ნიკო თავდგირიძემ. დაახლოვებით სთქვა:

„საზოგადოდ სიკვდილი ყველასათვის დასაფიქრებელი, საზარელი მოვლენაა ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანის თვისება ისეთია, რომ ყოველ სასტიკ შემთხვევას ეჩვევა, ურიგდება, თუ-კი ის მოვლენა ცხოვრების მიუცილებელ კანონს წარმოადგენს; წინააღმდეგ, როდესაც ცხოვრების ჩვეულებრივი მიუცილებელი წესი ირღვევა და რამე სამწუხარო მოვლენა უდროოდ, ნაჩქარევად ხდება, ადამიანი ერთი ორად უფრო აღშფოთებული და შეწუხებულია; სწორედ ასეთ აღშფოთებასა და ტანჯვას ჰგონობს, დარწმუნებული ვარ, ყველა აქ დამსწრე საზოგადოება: ვინ იცის, რამდენ კეთილ, წრფელ, პატიოსანურსა, გამოურკვეველსა და ცხოვრებაში ჯერ გამოუცდელ გრძობას და წადილს ემარხავთ შენთან ერთად! თუმცა ყველა ადამიანი ერთი მეორეს წააგავს საერთო ხასიათითა და ზნე ჩვეულებით, მაგ-

რამ ყოველ კერძო პირადობაში დაფარულია რაღაც თავისებური ნიჭი, ზნეობრივი ძალა, რომელიც საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის უნდა განვითარდეს და მომზადდეს. ჩვენი, ქართველების უკუღმართი, ბედ-შავი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ კერძო ადამიანს ჩვენებურ საზოგადოებისაგან არავითარი წინ-და-წინ გამოარკვეული, აღნუსხული სამოღვაწეო გეგმა არა აქვს დანიშნული, რომ ერთის საერთო მიმართულებით ხელმძღვანელობდეს ყოველი ჩვენებური წევრი; სამწუხაროდ ჩვენდა, არც ოჯახია ჩვენი ისეთი, რომ რაიმე უმთავრესს დედა-აზრს, საერთო საგანს უსახავდეს ახალ მოზარდ ბავშვს. ასეთ გარემოებაში ყველა ჩვენებური ახალგაზდა კაცი თუ ქალი თავის ნებაზედ უპატრონოდ, გზის გაუკვლეველად მიტოვებულია; ვაჟ-კაცებს კიდევ თვით მათის ცხოვრების შინაარსიანობა, თავისუფლება და ფართო ასპარეზი ავარჯიშებს, აჩვენებს გზას; სულ სხვანაირ მდგომარეობაშია ჩვენებური ქალიშვილი: თუ კარგი დამხმარე, ხელის გამწყობი, მრჩეველი არ შეხვდა; მისი გულითადი წადილი გამოურკვეველი და გრძობები დაუკმაყოფილებელი დარჩება სიკვდილამდის. აი ამით აიხსნება უმეტეს შემთხვევაში ჩვენებურის ახალგაზდა ქალიშვილების მხრივ ცხოვრების უკმაყოფილება.

„ნათესავეურმა დამოუკიდებულობამ და მეგობრულმა განწყობილებამ მომცა შემთხვევა გამეცნო შენი ხასიათი და ის პატიოსნური წრფელი სურვილები, რომელიც გასულდგმულებდა: ბევრჯელ გამიგონია შენგან: „სულითა და გულით მსურს რამე გაეკეთო, სარგებლობა მოგუტანო საზოგადოებას, რამე წვლილი მეც შევიტანო ჩვენს საზოგადოებურ ცხოვრებაშიო, მაგრამ ერთის მხრით მომზადება არა მაქვს ამისათვის და მეორეს მხრით მრჩეველი, გზის მაჩვენებელიც არავინ მყავსო“; სწორედ ამ შენმა კეთილმა საზოგადოების სამსახურის სურვილმა მოგაკიდებინა ხელი აქ დამსწრე სამრევლო საქალებო სკოლის მოწაფეების მზრუნველობისათვის; არა ერთხელ გითქვამს: „მცხენიან, ვწუხვარ, რომ ბევრს ვერას ვაკეთებ ჩემს სამზრუნველო ბავშვებისთვისო“. თავის დღეში არ დამავიწყდება შენგან გულ-წრფელი, უსუსური, ბავშურის გულ-უბრყვილობით ნათქვამი სიტყვა: „მამა-ჩემმა ცხენი მაჩუქა და სანამ



სხვა საკუთარი ფული მექნებოდეს, იმ ცხენს გავ-  
ყიდი და ამ სკოლის საჭიროებას მოვახმარო“. ხან-  
და-ხან უბრალოდ, შემთხვევით წარმოთქმულ სიტ-  
ყვაში იმდენი გულ კეთილობა, პატიოსნება და  
გრძნობის სიდიადე იხატება, რომ არა ვითარ ოქ-  
როს და ვერცხლს არ შეუძლიან იმის მაგიერობა;  
ჩვენთვის ძვირფასია მაგისტანა წრფელი, კეთილი  
სურვილებიც; ჩვენ ის გვაწუხებს, რომ მრავალია  
ჩვენ შორის ისეთი ადამიანი, რომელმაც სურვილი-  
სამებრ გაატარა ყველა შესაფერი ხანა თავის ცხოვ-  
რების და ერთხელაც არ დაბადებიათ მათ ისეთი  
პატიოსნური სურვილი; აი, ამისათვის მადლიერნი  
შენის სამზრუნველო სკოლის მოწაფენი დაესწრენ  
შენს განსვენებას და თვალ-ცრემლიანი მოგიძღვნიან  
ამ გვირგვინს“.

შემდეგ კუბო ხელში აიღო თორმეტმა ქალი-  
შვილმა და ქალაქის შუა ადგილამდის მიასვენა.  
ცხედარი უნდა წავსვენებინათ სოფ. შემოქმედის  
მონასტერში, სადაც ოზურგეთელი გურიელების  
სასაფლაო ადგილია. ქალაქის და სოფლის საზოგა-  
დობამ მოისურვა ხელით კუბოს წასვენება მონას-  
ტრამდის, ექვსი ვერსტის მანძილზედ. მონასტერში  
მწირველად ჰბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო  
ალექსანდრე, რომელმაც წირვის ვათავების შემდეგ  
გრძნობიერი და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.  
დაახლოვებით აი რა სთქვა ყოვლად პატივცემულმა  
ეპისკოპოსმა:

„უდროოდ მიცვალებულთა თავადის მსულო  
ელენე! დღეს მე დავესწარი შენს დასაფლავებას და  
ვარ მოწამე იმისი, თუ რა რიგ გულ-წრფელოდ შე-  
წუხებულა შენის დაკარგვით მთელი შენი მახლო-  
ბელი საზოგადოება, რომელიც სამუდამოდ გეთხო-  
ვება. მახსოვს ის, როდესაც საწყალი მამა-შენი სახ-  
ლიდგან გამოსვენების დროს გამოგეთხოვა და გით-  
ხრა: „შვილო, დღეიდგან ჩემი სახლის კარები უნ-  
და დაიხუროს, საზოგადოება მხოლოდ შენით მიც-  
ნობდა, შენ შეაყვარე მას ეს ოჯახიო“. მახსოვს  
აგრეთვე თ. ნ. თავდგირიძის სიტყვაც. შენ, რო-  
გორც სჩანს, საუცხოვო კეთილი და პატიოსანი  
გრძნობის ქალიშვილი ყოფილხარ. იმდენად გინდო-  
და თურმე შემწეობა შენ სამზრუნველო სკოლისა-

თვის, რომ შენს სახლისო საჩუქარსაც-კი იმისთვის  
ზოგავდი. აქ წარმოთქმული სიტყვები და დამსწრე  
საზოგადოების მწუხარება მარწმუნებს, რომ შენ  
მართლა კეთილი და პატიოსანის გრძნობის ადამიანი  
ყოფილხარ. ამიტომაც შენი დასაფლავება რაიმე  
შესამჩნევი მოვლენით უნდა დაეაბოლოვოთ. მე  
მინდა დღეს შენს სახელზედ დავიწყო შენ მამა-პაპა-  
თაგან სასაფლაოდ აგებულ შემოქმედის მონასტრის  
განახლების საქმე. მეათე საუკუნიდგან არსებობს ეს  
ნაშთი ჩვენის ძველის კულტურისა და დღეს, რო-  
გორც ვხედავთ, ინგრევა და გვეცლება ხელიდგან,  
თუ ვხლავე არ მივეშველეთ. ამიტომ მე ჩემის მხრივ  
ათას-ხუთასს მანეთს ვსწირავ ვხლავე ამ საქმისთვის  
და იმედი მაქვს შენ პატივსაცემლად აქ დამსწრე  
საზოგადოება ჩემს მაგალითს მიბაძვას“.

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ყ-დ სამ-  
ღვდელო ალექსანდრემ იქვე მონასტრის ეზოში  
მოუწოდა ხალხს და მისი თანა დასწრებით ჩააბარა  
1500 მანეთი შემოქმედის მონასტრის განმაახლე-  
ბელ კომიტეტის წევრებს: ოზურგეთის ქალაქის  
მოურავს თ. ნიკო თავდგირიძეს და ბლოლოჩინს დი-  
მიტრი ქიქოძეს. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა მოით-  
ხოვა რვეული, სადაც ჩასწერა თავისი შემოწირუ-  
ლება. მიცვალებულის ბიცოლამ კნენა სალომე  
გურიელის ქალმა მოაწერა ხელი ათას-ხუთას მანე-  
თზე; ძმებმა დუმბაძეებმა ივანე ანტონის ძემ და მი-  
სმა 7-მა ძმამ აღუთქვეს 150 მანეთი თითოეულმა,  
ე. ი. 1050 მანეთი; შემდეგ კერძო ხელ-მოწერით  
შესდგა ორი-ათას მანეთამდის. ასე რომ ამ სამწუ-  
ხარო სამგლოვიარო შემთხვევამ გამოიწვია შემო-  
ქმედის მონასტრისათვის საბედნიერო მოვლენა. ამ  
დღეიდგან დაიწყება ჩვენი ძველებური ნაშთის—შე-  
მოქმედის მონასტრის განახლება. („ივ.“).



### გზა მღვდლობისაკენ.

(რუსულიდან)

ვაგრაძელება \*)



იას, სწორეთ მართალს გელაპარაკება ჩემი შვილი, სთქვა სტახინის მეუღლამ.—რა საჭიროა თქვენთვის, გიგო პეტრეს ძევ, მღვდლად წასვლა. ნუ თუ ასე ადრე გსურსთ გამოეთხოვით თქვენს ახალგაზდობას და ამ ახალგაზდობასთან დამოკიდებულ მხიარულებას და დროს ტარებას? მღვდლობაში თქვენ ერთი გულიანად გაცინებაც კი აღარ შეგეძლებათ. ხუმრობას ხომ საუკუნოდ უნდა გამოეთხოვით, რადგან ესეები არ შეშვენის მღვდელს. როგორც მაგონდება, ერთ დროს, ვგონებ, თქვენც ამავე აზრის იყავით მღვდლობაზე. მე თქვენ მებრალეებით, გიგო პეტრეს ძევ, რომ ასე მალე გსურსთ მიიღოთ თქვენ თავზე შეუფერებელი სამსახური!.. გიგო გრძნობდა, რომ ეს სიტყვები რაღაც ეკალივით ხვდებოდა მის გულს; გიგოში მსგავსი სიტყვები ცოტა თანაგრძობასაც პოობდნენ, ვინაიდგან ეს სიტყვები არც სიმართლეს იყენენ მოკლებულნი და ამიტომაც ძლიერ გული მოდიოდა გიგოს ამ საყვარელ ნაცნობ ხალხზე! ისინი თავისებურად სჯიან, მათ თავიანთი შეხედულება აქვსთ ცხოვრებაზე და მის მნიშვნელობაზე, და სრულებით არა სურთ შეიგნონ ის აზრი და მიმართულება, რომლებითაც აღჭურვილი იყო გიგო; იმათ სრულებით აზრად არ მოდიოდათ, რომ ეკლესიური ინტერესები მათთვისაც საჭირო იყო, როგორც ქრისტიანეთათვის. ისინი ცდილობენ, მე უარი მათქმევინონ მღვდლობაზე ნაცვლად მისა, რომ პირიქით მირჩიონ და გამამხნეონ სულიერად, რომ ჩემ მიერ აღრჩეულ ასპარეზს სიხარულით შევეუდგე, რათა ვემსახურო ღმერთს? გიგომ თავი შეიკავა და რაც შეეძლო, თავდაჭერილად ლაპარაკობდა.

—მარიამ სტეფანეს ასულო, მიუბრუნდა გიგო სტახინის მეუღლას,—გმადლობთ, რომ თქვენ გე-

ცოდებით და ჩემთვის გსურთ უფრო ბრწყინვალე და მხიარული ცხოვრება, მაგრამ მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს, რომ თქვენ, თქვენს მეუღლეს ნიკოლოზ ივანეს ძეს და თქვენს ვაჟს ბორისს შემდეგი გიპასუხოთ: აი თვევენ ჩემ თვალის წინ დახატეთ სამწუხარო და საძნელო მხარეები მღვდლობის სამსახურისა და ცდილობთ, რომ მე თავი დავანებო მღვდლად წასვლას. კარგი. შეიძლება ასევე მოიქცეს თითოეული ჩემი ამხანაგთაგანიც. თქვენი ჭირიმე, მიტხარით, თქვენის აზრით, ვინდა უნდა წავიდეს მღვდლად? ვისლა არ უნდა ეშინოდეს და ეზარებოდეს ის აუტანელი ცხოვრება მღვდლისა, როგორც, თქვენის აზრით, მოელის მღვდელს? ვინდა უნდა გამოვიდეს სახარების მაღალი ქეშმარიტების საქადაგებლად, რომ ეს ქეშმარიტება ჩანერგოს ჩვენი გლეხების სულსა და გულში, რომელთაც, გლეხებს, რიგინად არა აქვსთ შეგნებული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სწავლა-მოძღვრება? ვილას უნდა ეჭიროს მაღლა ეკლესიის დროშა, იდგეს ამ დროშის ქვეშ და იცავდეს მასს? თქვენის აზრით, ვილას უნდა ჩაბარდეს ეს საქმე? ნუ თუ მღვდლად უნდა წავიდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც სხვა სამსახური არ შეუძლიათ? გიგო დაჩუმდა. ახლა სტახინმა დაიწყო:—«არა, გიგო პეტრეს ძევ, ჩვენ სრულებით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ მღვდლად არ წავიდნენ ვანათლებულნი პირნი, მაგრამ მღვდლობისათვის საჭიროა განსაკუთრებული მოწოდება და თავის განწირულება. ეს უკანასკნელი სიტყვები სტახინმა რაღაც რიხიანად წარმოსთქვა.

—მაგ შემთხვევაში, ნიკოლოზ პეტრეს ძევ, თუ თქვენ მოითხოვთ, რომ თითოეულ პარს, რომელიც მღვდლად აპირებს წასვლას, უნდა აქენდეს ქეშმარიტი მოწოდება მღვდლობისადმი, ნუ თუ ასეთი პირნი ბევრნი მოინახებიან ჩვენს დროში? და სამკალი კი მრავალია! არა, მე ვფიქრობ, რომ თუ კი კაცში ცოტაოდნათაც არის სიყვარული ეკლესიისა, და მასთან მას აქვს სურვილი განვითარებისა, მას გაბედვით შეუძლია წავიდეს მღვდლად. მას შეეწევა ღმერთი. სწორეთ ეს ასეც ხდება ჩვენში, სთქვა გიგოს მეუღლამ.

—«ახლა, ვგონებ, დროა. ორგან კიდევ ვართ მისასვლელი“. გიგოს აღარ სურდა დარჩენა იმ ოჯახში, ვინაიდგან იქაურმა ლაპარაკმა თავი მოახებრა. მას მთელი ტანი უკრთოლავდა. როცა პალ-

\*) იხ. «მწყემსი», № 19 1899 წ.



ტო ჩაიცვა, ხელები უძიგძიგობდა და ორი ფოლაქი ძლივს შეიკრა. სტახინის ოჯახმა გააცილა გიგო და მისი მეუღლა, მაგრამ მათ პირის სახეზე გიგო ვერ ამჩნევდა იმ გულწრფელობას და სიხალისეს, როგორი სიხალისით და გულწრფელობითაც ეს ოჯახი წინათ ხვდებოდა და აცილებდა ხოლმე გიგოს. რაღაც გულცივობა და შებრალება გიგოსადმი იხატებოდა მათ პირის სახეზე, თითქო ამ დღიდან გიგო მათთვის უცხო კაცი შეიქნა. თუმცა გიგო ასეთი გულნაწყენი წავიდა და სტახინის ოჯახსაც რაღაც ამგვარივე გრძობა ეტყობოდა სახეზე, მაგრამ სტახინის ვაჟი ბორისი დიდხანს უქნევდა გიგოს ქულს.

გიგოს თავისი მეუღლით უნდოდა მისულიყო მემამულე პავლე პეტრეს ძეს ჩერნიაევთან, რომელიც დაესწრო მათ ქორწილზე. მაინც და მაინც გიგოს და მის მეუღლას არა სურდათ ამ მემამულესთან მისვლა, მაგრამ, პირველად, ამას მოითხოვდა ზრდილობა, და, მეორედ, ეს მემამულე ცხოვრებდა გიგოს მეუღლის მამის მ. პავლეს მრევლში. ჩერნიაევი მარტო იყო სახლში, მისი ცოლი სადღაც წასულიყო, მაგრამ პავლესათვის უცოლობას არ შეუშლია ხელი; მან შევნიერი საუბრე მიართვა სტუმრებს. პავლე კობტად იყო ჩაცმული და ლაპარაკის დროს ცოტა ქვეც მედიდურობდა თავისი ჩამომავლობით, მაგრამ ზრდილობიანად. საუბრე დამზადებული იყო პატარა რგვალ მაგიდაზე.

— „ჩემს მეუღლას ძლიერ ეწყინება თქვენი უნახაობა, — თქვა პავლემ, მე კი მიხარია, რომ წილად მხვდა თქვენი მიღება და გამასპინძლება. მოდი დავლიოთ თქვენი მომავალი ცხოვრების სადღეგრძელო“. მათ ქიქები მიარახუნეს ერთმანეთზე.

— „სწორედ სასამოვნოდ მრჩება, რომ სასულიერო წოდებას ეძინება ისეთი კაცი, როგორც თქვენ, გიგო პეტრეს ძე, და თქვენი ახალგაზდა მეუღლა. ამ სიტყვების დროს პავლემ მკინარე თვალებით შეხედა გიგოს მეუღლას.

— „ეს სწორეთ დიდი პატივის ცემა და ქებაა ჩვენთვის, — სთქვა გიგოს მეუღლამ.

— „მე კი მტკიცედ ვადგივარ ჩემ სიტყვებზე“, — უფრო გაბედვით წარმოსთქვა პავლემ.

— „როგორც მე მითხრეს, გიგო პეტრეს ძეს დიდი ღირსებები ჰქონებია, მაშასადამე მე

ჩემით არაფერს ვუმატებ, რაც შეგეხებათ თქვენ, ელენე პავლეს ასულო, სიმაართლე ვთქვი და ყველანი დამემოწმებიან ამაზე. თქვენ ქეშმარიტად დამშვენებთ სულიერი მწყემსის ოჯახს“. — ეს სიტყვები რაღაც მოურიდებლად იყო ნათქვამი, მაგრამ საწყენად არავის მიუღია, რადგან პავლე ლაპარაკის დროს ცდილობდა, რაც შეიძლება სიყვარულობით ესაუბრა სტუმრებთან.

— „ჩვენთვის, მწყემსთათვის, მაინც და მაინც საჭირო არ არის ლამაზი ქალი; ლამაზი ქალის ყოლა უფრო თქვენ — ერის კაცთ შეგფერისთ. ამ სიტყვებით გიგოს სურდა სხვა საგანზე დაეწყოთ ლაპარაკი. ჩვენი სულიერი ცხოვრება ხომ განსხვავებული უნდა იყოს თქვენ ცხოვრებაზე“.

— „რასაკვირველია, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დავთანხმა პავლემ — თქვენი ცხოვრება აღვსილი უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი სიამოვნებით. რა მნიშვნელობა აქვს აქ ცოლს!? მაგრამ ლაპარაკის დროს ისე გავერთე, რომ მარტო ქვეყნიურზე ვფიქრობდი და არა სასულიეროზე“.

— „რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი! დაწყობა ხელახლად პავლემ, — ანაფორის ჩაცმა დიდი საქმეა; კაცი, თითქმის, მთლად იცვლება. ამას ყველა შენიშნავს, ვინც კი ყურადღებით დაუკვირდება სამღვდელოებას და ვისაც მათთან ხშირად აქვს საქმე“. პავლე ამ სიტყვებს რაღაც ხუმრობით და დაცინვით ამბობდა. გიგო და ელენე ამას გრძობდნენ, მაგრამ ისე იტერდნ თავს, თითქო ვერ გრძობდნენ ამ დაცინვას.

— „დიახ, ივანე პეტრეს ძე, — მიუგო გიგომ, ანაფორაში კაცი უნდა გამოიცვალოს, უნდა ეცადოს გამოიცვალოს თავისი აზრი და რწმენანი, თორემ უამისოთ რა მღვდელი იქნება, თუ კი ყოველივე ქვეყნიურზე ისეთივე შეხედულება ექნება, როგორიც ერის კაცს? — ამ სიტყვების შემდეგ სტუმრები გამოეთხოვენ მასპინძელს. გზაზე გიგომ და ელენემ სიამოვნებით ამოისუნთქეს. სხვა ოჯახებში წასვლა გიგომ სხვა დროსთვის გადადვა და ახლა კი პირდაპირ სიმამრთან გასწია.

ერთმა კვირამ გაიარა. გიგომ და ელენემ ყველა ნაცნობი ოჯახები ინახულეს და მოსვენებით ცხოვრებდნენ მ. პავლესთან. მ. ივანე ყოველ დღე დაიარებოდა მათთან, რადგან რაც გიგომ ჯვარი დაიწერა, მ. ივანე მარტოდ დარჩა. ბაასის დროს



ხშირად ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე, თუ სად უნდა ეშოვა მრევლი გიგოს. ყველას სურდა, რომ გიგოს სამრევლო კარგ სოფელში ეშოვნა. მმ. პავლე და ივანე ურჩევდნენ გიგოს, რომ მას ამოერჩია დიდი მრევლი. ამას იმიტომ ურჩევდნენ გიგოს, რომ იგი ფულს არ გამოართმევს მრევლს სხვა და სხვა მღვდელ-მოქმედების ასრულებისათვისო და გლახებიც ისარგებლებენ ამით და არაფერ სასყიდელს არ მისცემენ მას. ამის გამო ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სიღარიბეში ჩავარდებოდნენ. თუ გიგოს ეყოლება დიდი მრევლი, მაშინ მას შეხვდება მრავალი მღვდელ-მოქმედების შესრულება და ცოტას მაინც იშოვის რასმესო.

მაგრამ ამ ლოდინში დრო გადიოდა და მრევლი კი არსად იყო. მოახლოვდა შობის დღესასწაულიც და გიგო და ელენე ისევ მ. პავლესთან ცხოვრობდნენ. ერთხელ მ. პავლესთან სადღესასწაულოდ თავი მოიყარეს სტუმრებმა. ბლომად იყვნენ ახალგაზრდები, რომელნიც ხშირად კარგ დროს ატარებდნენ მ. პავლეს ოჯახში. ყველანი შინაურები იყვნენ, ე. ი. ყველა სასულიერონი. ყველანი თავმად იქცეოდნენ. გიგო ახალგაზრდებთან ერთად მხიარულობდა. ელენეც მეუღლესთან ერთად ერთობოდა.

— „აი როგორ მოქანცულან, ზრდილობიანად და მხიარულად მიმართა სასტუმროში მომავალთ გიგოს და ელენეს მ. ალექსიმ, მთლად გათეთრებულმა და კეთილმა მოხუცებულმა—მღვდელმა. არ ვიცოდი, თუ მაგდენ ხტუნაობას შეიძლებდით ქორწინების შემდეგ... დროა მრევლზე იფიქროთ და უფალს შეევედროთ“. ამ სიტყვების შემდეგ გულკეთილად გაიცინა მ. ალექსიმ. მ. ალექსიმ ეს სიტყვები ისე მოხდენილად წარმოთქვა, რომ ყველას გაეცინა. გიგოს ძლიერ უყვარდა ეს ძალზე მოხუცებული მღვდელი და დიდის სიამოვნებით ესაუბრებოდა ხოლმე მას და მის სიტყვებსაც მოწიწებით ისმენდა. ახლაც გიგო გვერდით მოუჯდა მ. ალექსის.

— „ვერას გზით ჩემი მოსაწონი მრევლი ვერ ვიშოვნე, მ. დეკანოზო, აი აგერ რამდენი ხანი ვეძებ და ვერ მიშოვნია“.

— „ეძიეთ, გიგო პეტრეს ძევ, ეძიეთ და ნახავთ. მეც ასე მომივიდა პირველად და ბოლოს ღმერთმა მომცა მრევლი და აი აგერ 50 წელიწადი ვცხოვრებ ამ მრევლში“.

— კმაყოფილი ხართ ამ სამრევლოთი, მ. დეკანოზო?“

— მე კი კმაყოფილი ვარ. ყოველი ჩემი საქმე წარმატებით მიდიოდა; ღმერთმა ინებოს, რომ ყველას ასე წარმატოდეს საქმე... .

— მე სწორეთ არ მესმის, რა არის სანატრელი და სასურველი შენს სამრევლოში და მართალი ვითხრათ, ვერავის ვერ ვუსურვებ ისეთ სამრევლოს, — ჩაერია ლაპარაკში გამბედავი მღვდელი ბლალაჩინი, მ. იაკობი. თუ შენი სიცოცხლე კაცმა უნდა გაატაროს ისეთ სამრევლოში, როგორც შენია, მ. ალექსი, უმჯობესია სრულებით არ წავიდეს კაცი მღვდლად. ასეთ ადგილას მთელი სიცოცხლის გატარება კაცს მთლად გამოაყრუებს. ასეთ ადგილას კაცი მთლად გამოაყრუდება და დაავიწყდება ყოველივე, რაც კი მის გარეშე ხდება. არა, თუ წახვალ მღვდლად, იმსახურე იქ, სადაც ცხოვრებაა, სადაც სწორედ საქროა შენი ყოფნა, სადაც საქმის გაკეთებაც შეგიძლია და შენ თავსაც განავითარებ“...

— შენ რამდენიც გსურს, განვითარდი,— გააწყვეტინა სიტყვა მ. იაკობს პატიოსანმა მ. სვიმონმა, მ. ალექსის მეზობელმა,— მაგრამ ასე ლაპარაკი, როგორც თქვენ ახლა ლაპარაკობდით, შეშვენის მხოლოდ ახალგაზრდა და გამოუცდელ კაცს, როგორც ბრძანდებით თქვენ თვითონ, მხოლოდ მაპატივეთ კი ასეთი სიტყვები,— დაუმატა მ. სვიმონმა.

— თქვენ რომ შეგეძლოსთ წარმოდგენა ჩემს სამრევლოში ცხოვრებისა, მიუგო მ. სვიმონს ალექსიმ, მაშინ მაგას არ იტყოდით. მართალია ჩემი სამრევლო მივარდნილი ადგილია, მაგრამ იქ კაცი მოსვენებულია მოუსვენრობისა, თავმოყვარეობისა, საჩუქრების ძიებისა და სხვა ამაო ზრუნვისაგან. ზიხარ შენთვის და ცდილობ, რომ რაიმე კეთილი კვალი დააჩინო შენს მრევლს.

(შემდეგი იქნება)



## ომი ინგლისსა და ტრანსვაალს შორის.

შუაგული სამხრეთ აფრიკისა ორს რესპუბლიკას—ორანჯესა და ტრანსვაალს უჭირავს. ორივე რესპუბლიკა ეგრეთ წოდებულ ბორებით არის დასახლებული. ბოერი ნიშნავს მიწის მხენელს, გლეხს, რის გამო ორანჯესა და ტრანსვაალს მიწის მხენელთა, გლეხთა რესპუბლიკებს ეძახიან. ამ 80—100 წლის წინად ის ადგილები, სადაც ეხლა ორანჟე და განსაკუთრებით ტრანსვაალია, კიფრებისა და სხვა ველურ ხალხთა საბრძანებელს და სათარეშოს შეადგენდა. ბოერებმა იქ გადასახლება კაპლანდიდგან და ნატალიდგან იწყეს ამ საუკუნეში. 1850 წლამდე ტრანსვაალი თუმცა რესპუბლიკას არ შეადგენდა, მაგრამ იგი არც ინგლისის ახალშენს ემორჩილებოდა. ამ დრომდე იქ არავითარი წეს-წყობილება არ არსებობდა. მხოლოდ 1860 წელს შეერთდნენ ტრანსვაალსში მცხოვრებნი ბოერები და დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაარსეს. ამჟამად ტრანსვაალში სულ 500,000 მცხოვრებელია, ამათგან 120,000 ბოერია, ევროპიელთა შთამომავალი, ხოლო 380,000 ადგილობრივი, მკვიდრნი—მაკატინები.—ორანჟეს რესპუბლიკა მცხოვრებთა რიცხვით ტრანსვაალზედ ნაკლებია, 200,000 სული სცხოვრობს იქ.

აწინდელი ომი ტრანსვაალსა და ინგლისს შორის პირველი არ არის. ინგლისს კარგა ხანია ტრანსვაალზედ თვალი ეჭირა და ჯერ ისევ 1880 წ. მოიწადინა ამის შემოერთება პირველ ხანს, ვიდრე ტრანსვაალში რესპუბლიკა დაარსდებოდა, ინგლისი ამ კუთხეს თავისად სთვლიდა, ჰეიქრობდა, ჩემის ახალშენებიდგან გადასახლებული ხალხი, რასაკვირველია, მევე უნდა მემორჩილებოდესო, მაგრამ შემდეგ, რაკი, დარწმუნდა, რომ ტრანსვაალი არა ხუმრობდა და დამოუკიდებლად ცხოვრებას აპირებდა, იარაღს მიჰპართა და ძალით მოიწადინა ბურების შემოერთება.

როგორც ვსთქვით, ტრანსვაალის რესპუბლიკა 1860 წელს შესდგა. ახლად შემდგარ რესპუბლიკას, ჯერეთ მოუწყობელს, 1876 წელს სასტიკი ბრძოლა მოუხდა ველურ კაფრებთან, რამაც საშინლად

შეასუსტა რესპუბლიკის ფინანსები და ხალხიც ძალიან მოღალა. ინგლისმა სწორედ ეს დრო ჩასთვალა მარჯვე დროდ და მიუდგა თავისს წადილის განხორციელებას—ტრანსვაალის შემოერთებას. 1877 წლის თებერვალს სატახტო ქალაქ პრეტორიაში მივიდა ინგლისის კომისარი შეპსტონი და მოედანზედ საჯაროდ წაიკითხა ტრანსვაალის ინგლისთან შეერთების ქალაქი. კომისარს თან ახლდა რამდენიმე მოხელე და 25 ცხენოსანი პოლიციელი. ბორებმა ხმა არ გასცეს კომისარს, ზურგი უბრუნეს და შინსკენ წავიდნენ, თან ბუტბუტებდნენ: „რამდენიც გინდა იკითხე, ჩვენ-კი ჩვენსას არ დავიშლით და ინგლისს არ შეუერთდებათო“. კომისარი თავისს კაცებით უკან დაბრუნდა. ხმის ამოუღებლობა ინგლისმა უარად ჩასთვალა, ამიტომ რამდენისამე ხნის შემდეგ გერენალმა გარნეტ უოლსლეიმ, სამხრეთ აფრიკის უფროსმა ჯარი გაგზავნა, რომელიც ტრანსვაალის შუაგულ ქალაქს პრეტორიაში დაბანაკდა. ამ რიგად დაიწყო 1880 წლის ომი ბოერებსა და ინგლისს შორის.

ვიდრე საბრძოლველად გავიდოდნენ, ბოერებმა 1880 წლის 13 დეკემბერს ჯერ მიტინგი მოახდინეს, რომელზედაც გადასწყვიტეს, დამოუკიდებლობა და თავისუფლება იარაღით მოიპოვონ. ამავე მიტინგზედ აარჩიეს სამი კაცი: აწინდელი პრეზიდენტი კრიუგერი, აწინდელივე მთავარ-სარდალი ჟუბერი და პრეტორიუსი, და ამათ ჩააბარეს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა და ჯარის წინამძღოლობა. ამავე დროს სამხრეთ აფრიკის უფროსად, გენერალის უოლსლეის ნაცვლად, დანიშნულ იქნა გენერალი კოლოლი.

ინგლისის მოხელეებმა რაკი შეიტყეს, რომ ბოერები არა ხუმრობენ და იმ ჯართან აპირობენ შეტაკებას, რომელიც პრეტორიაში იყო დაბანაკებული, ნატალიდგან, პოლკოვ. ანსტრუზერის უფროსობით, მისაშველებელი რაზმი გაგზავნეს პრეტორიაში. მაგრამ ამ რაზმს ბოერები დაჰხვდნენ წინ



და საშინლად დამარცხეს. 259 ჯარის კაციდგან 155 კაცი იქმნა მოკლული. დანარჩენნი ბოერებმა ტყვედ წაიყვანეს. ბოერებს მხოლოდ ორი კაცი მოუკვდათ. ამ დამარცხებამ საშინლად შეაშუოთა ინგლისის მთავრობა. მაშინვე განკარგულემა მოახდინა, რომ ინდოეთიდან ახალი ჯარი გაეგზავნათ აფრიკაში, მაგრამ გენერალმა კოლოლიმ ამ ჯარს არ დაუცადა,—ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბოერების დამარცხებით მარტო აპირებდა სახელის მოხვეჭას, მეორე კიდევ, პრეტორიაში დამწყვედულ ჯარის განთავისუფლება ჰსურდა,—მოკრიფა, რაც ამ დროს ჯარი მოეპოვებოდა, რიცხვით 1200 კაცი, და 1881 წელს, 24 იანვარს ნიუ-კესტლიდგან ტრანსვაალისკენ გაუდგა. ბრძოლა ლანგსნეკის მახლობლად მოხდა.

ასევე დამარცხდნენ ინგლისელები შემდეგს ბრძოლებშიაც. ბოლოს თუმცა ინდოეთიდან გაგზავნილი ჯარიც მიეშველა ინგლისელებს, მაგრამ ბოერების წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გააწყეს. უკანასკნელი ბრძოლა მოაბის მთასთან მოხდა. ბოერებმა საოცარი ვაჟ-კაცობა გამოიჩინეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ ინგლისის ჯარი უკუ აქციეს.

ესე დასრულდა პირველი ომი ინგლის-ტრანსვაალისა. ყოველს ექვს გარეშეა, რომ ეხლანდელს ომს ტრანსვაალი ისე იაფად და ადვილად ვერ გადაარჩება, როგორც პირველს გადაარჩა. პირველის დამარცხებით გამოცდილი ინგლისი ეხლა აუარებელ ჯარსა გზავნის სამხრეთ აფრიკაში.

ტრანსვაალსა და ორანჟეში ყველა, ვისაც კი თოფის ხმარება შეუძლიან, ბრძოლის ველზედ გავიდა. იარაღი აისხეს და საომრად გაემგზავრნენ 60—65 წლის მოხუცი-კი. ამბობენ, რომ ბოერებს 100,000 მდე კაცი შეუძლიანთ გაიყვანონ ინგლისელების წინააღმდეგაო. თუ ამოდენა ჯარს ოლანდიელთა დანარჩენი რაზმებიც მიუმატეთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისს იაფად არ დაუჯდება გამარჯვება და სუსტის რესპუბლიკის დაძლევა. „(ივ.)“.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

### ს ი ტ უ ვ ა

ხალხში გავრცელებული ხმების შესახებ ქვეყნის დაქვეაზე.



მრავალი თქვენგანნი, ძმანო, რაღაც შეძფოთებულნი და შეძინებულნი მეკითხებიან: მართლა ამა წლის 13 ნოემბერს დაიქცევა ქვეყანა?

ნუ თუ თქვენ არაფერი არ იცით ქვეყნის დასასრულის შესახებ, ანუ როგორც თქვენ ეძახით, სოფლის დასრულებაზე? ნუ თუ ამის შესახებ თქვენ არაფერი გსმენიათ ტაძარში სწახარებიდგან და საეკლესიო საგალობელთაგან? ნუ თუ არას დროს არაფერი უთქვამთ ამის შესახებ თქვენთვის თქვენს სულიერ მწუქმსთ? როგორ არ გავიგონიათ—და არა ერთ გზის მოგისმენიათ თქვენ სულიერ მწუქმსთაგან სწავლა-დარიგება ამ საგნის შესახებ, მაგრამ ჩანს ამ სწავლას მტეიციედ არ ადვიხართ. ამიტომაც ასე ადვილად ვრწმუნებით ვილაცხას სიტყვეებს, რომ ამ წელში იქნება ქვეყნის დასასრული და თქვენც სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს ხმები, რის გამო ადმფოთებულთა თქვენი გული და გონება...

თქვენ სარწმუნოდ მიგიდიათ უსაფუძვლო



ხმები, მაშ სჩანს, თქვენ დაგვიწინათ იესო ქრისტეს სწავლა ქვეყნის დასრულების შესახებ; და თუ დაგავიწუდით, საჭიროა მოგავინოთ. მაშ თქვენთან ერთად გავიხსენოთ ქრისტეს სწავლა ქვეყნის დასრულების შესახებ.

როდის იქნება ქვეყნის დასასრული, ეს საიდუმლოებას შეადგენს. საიდუმლო ესე „არავინ იცის, არცა ანგელოსთა ცისათა, გარნა მამამან მხოლოდმან“ (მათ. 24, 36). მაშ ვის შეუძლია დაბეჯითებით აღნიშნოს ეს დრო და სთქვას, რომ აი, სასეღდობ, ამა და ამ დროს და ანუ სხვა დროს იქნება დასასრული ქვეყნისა? ის, ვინც ბედავს ამის თქმას, ფრიად ცოდავს, ვინაიდან ამით იგი თავის თავს აყენებს ანგელოზებზე ზევით და უნდა ამ საქმეში გაუთანასწორდეს ზეციურ მამას. გვედრებით თქვენ, მძანო, ნუ ვერწმუნებით იმას, ვინც ბედავს ამისთანა სიცრუის თქმას. ზირდაზირ და გაბედვით მიუგეთ მასს საღმრთო წერილის სიტყვებით: „არა თქვენი არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან დასსნა თვისითა ხელმწიფებითა“ (საქმე მოც. 1, 7).

კიდევ კიმეორებთ, მძანო, სიცრუეს გეუბნებიან თქვენ ისინი, რომელნიც თითქო სინამდვილით ასახელებენ ამ დროს, როცა იქნება დასასრული ქვეყნისა და ამით შეამფოთებენ თქვენს გულსა და სულსა. ეს რომ სიცრუეა იქიდან ჩანს, რომ ამ ამბის გამგრცელებულთ ჯეროვანად არ ესმისთ ქვეყნის დასასრულის დრო.

ისინი ლაპარაკობენ, რომ ჩვენი ქვეყანა კამეტასთან მესვედრის დროს, დაიქცევა ო ეოველივე ხილული გაჭქრებაო... ოჰ, რა გზავალის დაბნევაა!, არ დაიღუპება ხილული

ქვეყანა, იგი არ მოიხობა სრულიად, არამედ გამოიცვლება და განახლდება: ნაცვლად ძველისა შეიქმნება ახალი, ნაცვლად სრწნილებისა და დროებითისაგან—უხრწნელი და საუკუნო. „ცანი და ქვეყანა წარსდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარჭხდენ, იქნების ახალი ცა და ახალი ქვეყანა“ (მათ. 24, 35).

წმიდა იოანე ღვთის-მეტყველი იტყვის: „ვიხილო ცა ახალი და ქვეყანა ახალი; ზირველი იგი ცა და ზირველი იგი ქვეყანა წარსდეს“ (გამოც. 21, 1). ახალს ქვეყანაზე არ იქნება ცოდვები და უსჯულოება, რომელნიც ამძიმებენ ესლა ქვეყანას, არ იქნება სნეულეზანი და სიკვდილი უბედურეზანი და წვალებანი, რომელთაც ვითმენთ დღეს. „ახალთა ცათა და ახალსა ქვეყანასა მსგავსად აღთქმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკვიდრებულ არს (2 პეტრესი 3, 13).

რითი განახლდება ქვეყანა? ცეცხლით და არა კამეტით, რომელთან მესვედრის დროს უნდა დაიქცეს ქვეყანა ზოგიერთ უგნურთა ახრით. „მაშინდელი (წარღვნის წინათ) იგი სოფელი წვალით წარიღვნა და წარსწუდება, ცანი მძაფრად წარსდენ და ქვეყანა და მას შინა საქმენი დაიწვნენ“ (2 პეტ. 3, 6, 10).

ნუ თუ ვერწმუნოთ გავრცელებულ ცრუ ხმებს ქვეყნის დაქცევის შესახებ? არა, ნუ ვერწმუნებით. ვერწმუნოთ საღმრთო წერილს, რომელიც გვამცნებს, რომ ქვეყნის დასასრულის დრო შეადგენს საიდუმლოებას, რომელიც კაცმა არ უწიის, როდის დაიწება ქვეყნის დასასრული: რამოდენიმე თვეების ანუ წელთა შემდეგ, ანუ რამოდენიმე ასის წლის ანუ მთელი ათასი საუკუნოების შემდეგ, ეს უწიის



მხოლოდ ერთმა უფალმა ღმერთმა. მხოლოდ  
 ნუ დაგვაფიწუდება, რომ ძალე, ანუ გვიან, ათასი  
 წლის, ანუ უმეტესის შემდეგ თითოეული ჩვენ-  
 კანი უნდა წარსდგეს ქრისტეს საშინელი გან-  
 სჯის დღეს, რომელიც იქნება ქვეყნის დასას-  
 რულის დროს, და ჰასუსი უნდა მისცეს ეოვე-  
 ლივეს, რაიცა უქნია კეთილი ანუ ბოროტი.  
 ამიტომ არ უნდა აღვმოფოთდეთ და შევძინდეთ  
 ეოველგვარი ხმების გაგონების დროს ქვეყნის  
 დასასრულის შესახებ, არამედ ეოველთვის უნდა  
 ვიფიქროთ იმაზე, რომ ვიცხოვროთ კეთილად  
 და ღვთის სასიამოვნოდ...

**სახუარა მკველის მღვდლის ადრე და იმულებათ  
 ქაწწინებაზე.**

ძმანო, გლეხი კაცის ცხოვრებაში საზოგა-  
 დოდ და კერძოდ მთის ხალხში ადრე და იძუ-  
 ლებით ქორწინება იშვიათი მოვლენა არ არის.  
 ნამეტურ მთის რაჭველებს ისე შესისაღ-ხოცე-  
 ბული გაქვსთ ეს არა სანატრელი და დიდად  
 მავნებელი ჩვეულება, რომ აკვანშივე ნიშნავთ  
 უსუსურ ქალ-ვაჟთა შეუსრულდებათ თუ არა  
 ვაჟს 15 და ქალს 13 წელიწადი, მაშინვე ჯვარი  
 უნდა გადასწეროთ და ეს ორი ჯერ კიდევ ქვე-  
 ყნად გამოუსვლილნი, ერთმანეთთან გაუცნო-  
 ბელნი ნორჩი უმწიფარნი არსებანი უნდა შეჭ-  
 კრათ და შებორკოთ სიკვდილამდე გაუხსნელი  
 ხუნდებითა. ეს კიდევ არაფერია. ხმარად მომ-  
 ხდარა და ახლაც თვალსაჩინოდ ვხედავთ მაგა-  
 ლითებს, რომ ბევრი ადრე დანიშნულთაგანი,  
 კაცია თუ ქალი, საქორწინე წლოვანებამდის,  
 რაიმე უბედურის შემთხვევით სახიჩრდება, მახინ-  
 ჯდება და ბოლოს დანიშნულებს ადარ მოსწონთ  
 ერთმანეთი, არ უყვარსთ. უგულო და უჯიგრო  
 მშობლები იმ განზრახვით და იმ მიზნით, რომ  
 მოკვრებ მორის შური და მტრობა არ ჩამოვარ-  
 დეს, ძალას ატანენ საცოდავ შვილებსა და მა-  
 თდა უნებურად ათვისებენ ერთმანეთსა. მერე არ  
 იკითხავთ, ძმანო, რა უბედური, უგემური, უსი-

ნათლო და განუხარელი ბოლო მოსდევს უსი-  
 ყვარულოდ დაქორწინებულ ცოლ-ქმართა ცხო-  
 ვრებას? დღადან მათის შეთვისებასა იწყება მათ  
 შორის ჯოჯოხეთური ალიაქოთი: ქმარი სცემს,  
 ლანძღავს და ათრევს უსიყვარულო ცოლსა. არ  
 მოსწონს და არ ესიამოვნება მისგან არც ტკბი-  
 ლი საუბარი, არც დაკერვა, არც დარეცხა და  
 არც რაიმე ნასაქმარევი. ცოლსა და ოჯახზე,  
 გულ-აცურვებული ვაჟი ედებ: დობე ყორეს,  
 ეძღევა გარკვნილებას და ამ ნაირად ირდევვა.  
 და იდეუება ოჯახს. ასევე ეპყრობა ცოლიც  
 უსიყვარულო ქმარსა. ერთის სატყვიით უსიყვარ-  
 ულოდ შეუღვლა ცოლ-ქმართ შორის არ სუ-  
 ფევს არც ნათელი, არც სიხარული, არც სიყვარ-  
 ული, არამედ დაუსრულებელი ტანჯვა და მწუ-  
 ხარება. ქრისტეიანენო,

„რომელმან კაცმა ჭკუასა  
 საქმე მიანდო, აზიდა,  
 მას ჭირის მანემ ვერ ავნო  
 ვერც დასარჩობლად აზიდაო“

ნათქვამია ბრძენთაგან და უველასაგან დასაჯერია,  
 ამისათვის თქვენც, შვილების მოყვარულნი მშო-  
 ბელნი, თქვენი შვილების დაქორწინების საქმე  
 ცხოველის ჭკუით აზომ—დაზომეთ. რადგან  
 თქვენს იძულებას და უჭკუო გავლენას, თქვენი  
 შვილების მომავალ ცხოვრების მოსაწყობად  
 ხშირად დამდუშველი შედეგი მოსდევს, ღვთის  
 გულისათვის მოსპევით ეს მავნებელი ჩვეულებ-  
 ბანი. მოსპევით აკვანში დანიშვნა უსუსურ ქალ-  
 ვაჟთა და იძულებითი ქორწინება. აცალივთ დამ-  
 წიფება, დასრულება ძეთა და ასულთა თქვენთა.  
 სანამ სასძლო-სასიძო ერთმანეთს დაახლოვებით  
 გაიცნობდენ და ურთიერთის სიყვარულით ერთ-  
 მანეთთან შეუღლებას საჯაროდ განაცხადებდენ,  
 მანამ ნუ დასწერთ ჯვარსა. წინა-აღმდეგ შემ-  
 თხვევაში ის მიძმე ქვა ცხოვრებისა, რომელსაც  
 კიდებთ შვილთა თქვენთა კისერზე, მათდა უნე-  
 ბურად, თქვენვე დაგვიდებთ კისერზე, დღესა  
 ქრისტეს მიერ ცოდავად მადლის განკითხვისასა,  
 რომელიც გამოროსთ თქვენ ღმერთმა.

**მღვდ. მახეიდ გაგაშელოვი.**

გაგაშელოვი მღვდელი, რომელიც დასაჯერია, ამისათვის თქვენც, შვილების მოყვარულნი მშობელნი, თქვენი შვილების დაქორწინების საქმე ცხოველის ჭკუით აზომ—დაზომეთ. რადგან თქვენს იძულებას და უჭკუო გავლენას, თქვენი შვილების მომავალ ცხოვრების მოსაწყობად ხშირად დამდუშველი შედეგი მოსდევს, ღვთის გულისათვის მოსპევით ეს მავნებელი ჩვეულებანი. მოსპევით აკვანში დანიშვნა უსუსურ ქალ-ვაჟთა და იძულებითი ქორწინება. აცალივთ დამწიფება, დასრულება ძეთა და ასულთა თქვენთა. სანამ სასძლო-სასიძო ერთმანეთს დაახლოვებით გაიცნობდენ და ურთიერთის სიყვარულით ერთმანეთთან შეუღლებას საჯაროდ განაცხადებდენ, მანამ ნუ დასწერთ ჯვარსა. წინა-აღმდეგ შემთხვევაში ის მიძმე ქვა ცხოვრებისა, რომელსაც კიდებთ შვილთა თქვენთა კისერზე, მათდა უნებურად, თქვენვე დაგვიდებთ კისერზე, დღესა ქრისტეს მიერ ცოდავად მადლის განკითხვისასა, რომელიც გამოროსთ თქვენ ღმერთმა.

# სახელმძღვანელო, საეკლესიო, საჭირსა და სასარგებლო ცნობათა, განყოფილება.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. შეიძლება თუ არა ქორწინების შესრულება 14 ნოემბერს და დაურწყების კვირას; თუ შეიძლება, რომელი კანონის ძალით და თუ არ შეიძლება, რასასჯელი ეკუთვნება მღვდელს, რომელიც გვირგვინს აკურთხევს ამ დღეებში?

მიგება. ეს კითხვა ბევრჯერ აღძრულა და სხვა და სხვანაირად განმარტებულა. ზოგიერთ ადგილას სრულებით აღკრძალულია გვირგვინის კურთხევის შესრულება ხენებულ დღეებში, მაგრამ ზოგიერთ ალაგას ადგილობრივი მღვდელ-მთავრის ნებადართვით შესრულებენ ხოლმე ქორწინებას დაურწყებას, ყველიერის წინ და 14 ნოემბერსაც. ზოგიერთ ადგილას ადგილობრივი მღვდელ-მთავრის ნებადაურთველადაც ასრულებენ, მაგრამ დღით, წირვის გათავების შემდეგ. ამისათვის, ჩვენის აზრით, სასჯელი ამ დღეებში გვირგვინის კურთხევისათვის მხოლოდ იმას მიეცემა, რომელიც დაარღვევს იმ წეს-წყობილებას, სადაც რომელი წესწყობილებაც სუფევს ამ კითხვის შესახებ.

კითხვა. შეიძლება თუ არა სამრევლო სკოლის მასწავლებლის შეილი გაანთავისუფლონ სასწავლო ფულის გარდასახადისაგან სასულიერო სასწავლებლებში?

მიგება. განთავისუფლებიან სასწავლო ფულის გარდასახადისაგან მხოლოდ იმ მასწავლებელთა შვილები, რომელთაც ერთგულად და სასარგებლოდ უმსახურიათ სამრევლო და წერაკითხვის შკოლებში ათი წლის განმავლობაში. ეს განკარგულება გამოცხადებული იყო საეკლესიო უწყებებში 1897 წ.

კითხვა. სოფელში შენდება ახალი ეკლესია. მნათემ ანუ მღვდელმა შეადგინა მოწოდებითი ფურცელი და მოიწვია შემწირვლები ფულის შესაკრებად შესამოსლის და სხვა საჭირო ეკლესიის ნივთების სასყიდლათ. ეს ფულები რომელ წიგნში უნდა ჩაიწეროს—საეკლესიო შესავალ-გასავალ წიგნში, თუ იმ წიგნში, რომელიც აქვს ეკლესიის მაშენებელ კომიტეტს?

მიგება. სულ ერთია რომელ წიგნშიაც უნდა ჩაიწეროს, მაგრამ ამისთანა ფურცლებით ფულების შეკრება აღკრძალულია ადგილობრივი მღვდელ-მთავრის ნებადაურთველად.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიბარატურო განყოფილება:** როგორი სახურავი უნდა გაუკეთდეს მცხეთის საპატრიარქო ტაძარს?—ქრისტიანული წესით დამარხვა გარდაცვალებულის მარამ ქოჩოჩაშვილის ასულისა დაბა ყვირილაში.—ქ ელენე გურიელის ასული.—გზა მღვდლობისაკენ.—ომი ინგლისსა და ტრანსვაალს შორის.

**სწავლა და მაცნეობა ქრისტიანობაში სარწმუნო და კითხვ-წინაშე:** სიტყვა ხალხში გავრცელებული ხმების შესახებ ქვეყნის დაქვევზე.—სუბარო მრევლის მღვდლისა ადრე და იძულებით ქორწინებაზე.

—საეჭვო კითხვების განმარტება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 октября 1899 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типог. редакциі журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.